Email: info@heraldoflaw.com

The Idea of ,,Rule of Law State" in the First Constitution of Democratic Republic of Georgia

Tamar Avaliani

Doctor of Law, Affiliated Associate Professor at faculty of law at Georgian National University SEU
Email: tamar.avaliani888@gmail.com

ABSTRACT

The article demonstrates the idea of ,,legal state" in the first constitution of the Democratic Republic of Georgia. The western values oriented to the individual and human rights were implemented in the first constitution. The research revealed, that the idea of ,,legal state" envisaged all the components that the modern concept of rule of law comprise. The article analyses the idea of the unified understanding of the liberty and equality and the influence of the Kant's doctrine (about the unity of the liberty and equality) on its constitutional reglamentation. The article analyses the principle of secular state in the first constitution of Georgia, dated February 21,1921 and its comparison with the modern reglamentation of secular state and its drawbacks.

Constitutional provisions are analyzed in article in terms of modern constitutional values. The paper underlines the role of constitution of the first democratic republic of Georgia and its hereditary wholeness that connects it to the modern constitution of Georgia.

KEYWORDS: liberty, equality, secularism

შესავალი

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის ,,დამფუძნებელი მამების" მიზანს ადამიანის უფლებებსა და სამართლის უზენაესობაზე ორიენტირებული ევროპული ტიპის დემოკრატიული სისტემის შექმნა წარმოადგენდა. გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ,,1921 წლის კონსტიტუციის იდეოლოგიური გეზი დაეფუძნა იმ სამართლებრივი კომპასის მაჩვენებელს, რომლითაც ,,კონსტიტუციის მამები" ხელმძღვანელობდნენ და რომელიც ნამდვილად მიდიოდა დემოკრატიული და ,,უფლებრივი სახელმწიფოს" დამყარებისკენ."[1] კონსტიტუციის ავტორები მიუღებლად მიიჩნევდნენ უცხოური ქვეყნების გამოცდილების ქართულ სამართლებრივ სივრცეში ავტომატურ გადმოტანას ქართული სახელმწიფოს თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. დროებითი მთავრობის თავმჯდომარე - ნოე ჟორდანია განმარტავდა: ,,ისეთი კონსტიტუცია უნდა შევქმნათ, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებას შეეგუება. პირდაპირ სხვის ტანზე გამოჭრილი ტანისამოსი არ გამოგვადგება.[2]"

,,მეორე ტალღის" კონსტიტუციებს შორის 1921 წლის კონსტიტუცია[3] გამოირჩეოდა ადამიანის უფლებებისადმი მაღალი მგრძნობელობით და დაცულობის სტანდარტით, რაც კონსტიტუციის მაღალი ღირებულებით დატვირთვაზე მიუთითებდა. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის მთავარი ღირებულება თავისუფალი და ღირსებადაცული ადამიანი იყო.

ადამიანის უფლებების მომწესრიგებელმა ნორმებმა პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში ტექსტის ნახევარზე მეტი შეადგინა და მოაწესრიგა ყველა ის უფლება, რომლებსაც იმ პერიოდის ევროპული კონსტიტუციები ითვალისწინებდნენ. ამასთანავე, პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციით რეგლამენტირდა ყველა უფლება, რომელიც კონსტიტუციაში პირდაპირ მითითებული არ იყო, მაგრამ კონსტიტუციით აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარეობდა.

კონსტიტუციის ცნების გააზრება

კონსტიტუციის ავტორთა გენერალურ მიზანს დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება წარმოადგენდა[4] ,,თანახმად დემოკრატიული რესპუბლიკის ბუნებისა[5]".

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ,,დამფუძნებელი მამები" კონსტიტუციას უპირველესად ღირებულებების დოკუმენტად მიიჩნევდნენ, რომელიც განმსჭვალულია იმ მყარი პრინციპებითა და ფასეულობებით, რომლებიც სახელმწიფოს წესწყობილებას და სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობას აწესრიგებს[6]. კონსტიტუციის ავტორები კონსტიტუციას ინდივიდის სახელმწიფოსთან ურთიერთობის გარანტად და მთავარ საყრდენად თვლიდნენ. საკონსტიტუციო კომისიის წევრის - კონსტანტინე მიქელაძის- განმარტებით: ,,კონსტიტუცია უნდა შეიცავდეს ისეთ იურიდიულ ნორმებს, რომლებიც საზღვრავენ სახელმწიფოს ფუნქციების განაწილებას ორგანოთა შორის, ორგანოთა ორგანიზაციას და სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობას.[7]" ,,დამფუძნებელი მამები" ძირითად კანონს საზოგადოების ზოგადსამართლებრივ, მულტიფუნქციურ მოდელად მიიჩნევდნენ და მის ინტეგრაციულ ფუნქციაზე მიუთითებდნენ. დროებითი მთავრობის თავმჯდომარის - ნოე ჟორდანიას- შეფასებით: ,,კონსტიტუცია არის ერთიანი ძირითადი უფლებები, ნორმა, რომლის ფარგლებშიც ყოველი სახელმწიფო მუშაობს და მისი ორგანოები მოღვაწეობენ. ის არის, ასე ვთქვათ,

---

1 კორძაძე, ზ. და ნემსიწვერიძე, თ., 2016. სამართლებრივი დისკუსიები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: ზვიად კორძაძის გამომცემლობა, გვ. 23.

2 სეა, სდკ-ს მასალები, ფონდი 1833, საქმე 191, ფურცელი 137; თბილისი. ასევე ქანთარია, ბ., 2012. ,,დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში". სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 21.

3 საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2021].

4 სეა, სდკ-ს მასალები, ფონდი 1833, საქმე 191, ფურცელი 137.

5 იქვე. ფურცელი 138.

6 გვაზავა, გ., 1920. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, ტფილისი: გვ. 44. ასევე: ქანთარია, ბ. 2012. ,,დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში". სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 20.

7 კონსტანტინე მიქელაძე, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, 1918 წელი, ტფილისი, 17.; ასევე: ქანთარია, ბ. 2012. ,,დასავლური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში". სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 20-21.

ერთნაირი საერთო დიპლომი, სახალხო ხარატი, რომელზედაც არის დაბჭენილი სახელმწიფოს მთელი წესწყობილება და თითოეულმა მოქალაქემ იცის, რა უფლებანი აქვს ამ ხარატის მიხედვით და მოვალეობანი აწევს მას სახელმწიფოს მიმართ.[8]"

თავისუფლების იდეა 1921 წლის კონსტიტუციაში

1921 წლის კონსტიტუცია თვალსაჩინოა იმ პროგრესულ ღირებულებათა სისტემით, რომელიც კონსტიტუციის ,,მამოძრავებელ და სუბსტანციურ ღერძს შეადგენს."[9]

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია ნასაზრდოები იყო ბუნებითი უფლებების იდეებით თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ, რომელსაც კონსტიტუციის ავტორები ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად მიიჩნევდნენ. ძირითადი კანონი იზიარებდა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და აშშ-ის კონსტიტუციის ფასეულობებს ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვისა და სამართლის უზენაესობის შესახებ[10]. 1921 წლის კონსტიტუციაზე დასავლური ფასეულობების გავლენა და საქართველოსთვის მისაღები, საუკეთესო გამოცდილების გაზიარება იკვეთება სამსონ დადიანის განმარტებაში: ,,როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრმა, უნდა მოგახსენოთ, რომ კონსტიტუციის შედგენის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით უფრო თეორიული მოსაზრებით, ჩვენზე მოქმედებდა არა მარტო რეალური, არამედ ის იდეალური, რომელნიც უჩვენებია ჩვენთვის სხვა მოწინავე ქვეყნებს. ასე ვთქვათ, უმთავრესად ეს კონსტიტუცია ამოკრეფილია არსებულ კონსტიტუციათა საუკეთესო ადგილებიდან"[11].

1921 წლის კონსტიტუციიდან ირეკლება ინდივიდუალიზმსა და შემწყნარებლობაზე დაფუძნებული ევროპული ფასეულობები, რომლებიც ინდივიდის პატივისცემას ემსახურებოდა.[12] პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის ,,მოქალაქის უფლებების" თავი ეფუძნებოდა ,,დასავლურ ანთროპოცენტრისტულ მსოფლმხედველობას და მთლიანად ორიენტირებული იყო ადამიანსა"[13] და მისი ღირსების დაცვაზე.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია ერისა და პიროვნების თავისუფლებას ეფუძნებოდა[14] და მის დაცვას სახელმწიფოს მთავარ მიზნად განიხილავდა[15]. კონსტიტუცია ადამიანის მთავარი სოციალური ღირებულების იდეალს ეყრდნობოდა[16], საიდანაც ,,გამოსჭვივოდა ძირითადი უფლება, როგორც ადამიანის სუბსტანციის შენარჩუნების მექანიზმი."[17] პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის სულისკვეთებიდან ირეკლება[18] კანტის ,,კატეგორიული იმპერატივის" დანაწესი, რომ ადამიანი უნდა იყოს მთავარი ღირებულება, თვითმიზანი და არასოდეს მიზნის მიღწევის საშუალება[19]. ადამიანის, როგორც მთავარი ღირებულების, აღიარების იდეას პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში სამოცდაათი მუხლი ეხება, რაც სიმბოლურია და მისი მაღალი

---

8 სდკ-ს 1920 წლის 1 დეკემბრის პლენარული სხდომა; გაზეთი ,,სრ"., 1920 წლის 4 დეკემბერი.

9 კორძაძე, ზ. და ნემსიწვერიძე, თ., 2016. სამართლებრივი დისკუსიები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: ზვიად კორძაძის გამომცემლობა, გვ. 22.

10 ცანავა, ლ., 2013. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და 1921 წლის კონსტიტუცია. (I ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში). თბილისი: გვ. 60.

11 გაზეთი ,,სახალხო საქმე", 1921. 16 იანვარი.

12 ჯანელიძე, ო., 2018. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი: გვ. 114.

13 ხუბუა, გ., 2004. სამართლის თეორია. თბილისი: გვ. 90.

14 გეგენავა, დ., 2014. ქართული კონსტიტუციონალიზმის ევროპული საფუძვლები: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. საერთაშორისო ინტერდისციპ-ლინური კონფერენცია, ევროპული ღირებულებები და იდენტობა. მოხსენებები, 16-17-18 ივნისი, თბილისი: გვ. 122.

15 ჯგერენაია, ე. და კენჭოშვილი, თ., ,,რედ.- ები", 2018. სადამფუძნებლო კრება, 1- ლი ქრისტეშობისთვის საღამოს სხდომა, გიორგი გვაზავას სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 586.

16 Demetrashvili, A., 2010. Chronicles of Constitutionalism in Georgia. Law&Justice Review, 1 (1), September, გვ. 6 - 7.

17 კორძაძე, ზ. და ნემსიწვერიძე, თ., 2016. სამართლებრივი დისკუსიები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: ზვიად კორძაძის გამომცემლობა, გვ. 22.

18 ჯგერენაია, ე. და კენჭოშვილი, თ., ,,რედ.-ები", 2018. სადამფუძნებლო კრება, 1-ლი ქრისტეშობისთვის საღამოს სხდომა, გიორგი გვაზავას სიტყვა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 585.

19 Pfordten Dietmar von der, Zur Würde des Menschen bei Kant, In Fünf Untersuchungen "Menschen würde, Recht und Staat bei Kant", 1. Aufl age, Mentis, Paderborn, Verlag C.H. Beck, 2009. გვ. 11.

ღირებულებით მნიშვნელობაზე მიუთითებს [20].

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის შემქმნელებს ღრმად ჰქონდათ გააზრებული თავისუფლების მნიშვნელობის მასშტაბი, რომელსაც მიიჩნევდნენ დიად მიზნად, დიდ ღირებულებად, რომლისკენაც მიილტვის მთელი კაციობრიობა და რომელიც მთელი ისტორიული პროცესის შინაგან აზრს შეადგენს. [21]

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში თავისუფლება, როგორც მთავარი ფასეულობის გააზრება, კანტისეულ დოქტრინას იზიარებს, რომლის თანახმადაც სამოქალაქო მშვიდობის მიღწევა საზოგადოების წევრთა თავისუფლებით, თავისუფალი მოქალაქეების კანონისადმი მორჩილებითა და თანასწორობით არის შესაძლებელი.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის ,,დამფუძნებელი მამები" ცდილობდნენ თავისუფლების კონსტიტუციური ცნების შემუშავებას და თავისუფლებას განმარტავდნენ, როგორც ,,უფლებას თავის თავზე"[22], ,,თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თვითონ არის ბატონ-პატრონი თავისი თავისა"[23].

1921 წლის კონსტიტუცია თავისუფლებისა და თანასწორობის ერთიანობისა და განუყოფლობის შესახებ ჯონ ლოკისეულ განმარტებას ეფუძნებოდა[24]. კონსტიტუციის ,,დამფუძნებელი მამები" სრულად იზიარებდნენ მოსაზრებას თავისუფლებისა და თანასწორობის ,,განუყრელობის" შესახებ და განმარტავდნენ, რომ ,,თავისუფლება, ვრცელი იქნება ის თუ ვიწრო, უნდა იყოს თანასწორი ყველასთვის"[25]: ,,მზე ერთნაირად ანათებს ყველასთვის, ღარიბია ის თუ მდიდარი, ძლიერია ის თუ სუსტი. ყველა თანასწორია მზისა წინაშე, როგორც ყველა თანასწორი უნდა იყოს კანონის წინაშე."[26] კონსტიტუციის შემქმნელები თანასწორობას მოქალაქის უდიდეს უფლებად და პიროვნული თავისუფლების აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ[27]. კონსტიტუცია ეფუძნებოდა კანონისა და სამართლოს წინაშე თანასწორობის, ,,საპოლიტიკო, საჯარო და სამოქალაქო უფლების ერთნაირობისა" და სახელმწიფოს წინაშე თანაბარი ვალდებულების პრინციპებს[28]. შესაბამისად, სიმბოლურია, რომ 1921 წლის კონსტიტუციის ,,მოქალაქის უფლებების" თავი კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპით იწყება, რაც მის დიდ კონსტიტუციურ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

1921 წლის კონსტიტუცია კრძალავდა წოდებრივ განსხვავებებს[29] და ორივე სქესის მოქალაქის თანასწორობას გარანტირებდა[30]. პირველი რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი იყო სქესობრივად ნეიტრალური და არადისკიმინაციული პოლიტიკა[31], რაც კონსტიტუციის ტექსტშიც აისახა. სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეის გამომხატველი იყო თანასწორობაზე დაფუძნებული მიდგომა, რომლის თანახმადაც ,,საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ,,მოქალაქე" ფაქტობრივად ,,ადამიანის" საპირწონე იყო, ვინაიდან არ არსებობდა ადამიანების დიფერენციაცია წარმომავლობისა და ეთნიკურობის მიხედვით."[32] 1921 წლის კონსტიტუცია დეკლარირებდა სარწმუნოებათა თანასწორობისა და სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს [33].

---

20 დემეტრაშვილი, ა. და კობახიძე, ი., 2011. კონსტიტუციური სამართალი. თბილისი: გვ. 53.

21 გვაზავა, გ., 2016. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 218.

22 იქვე. 218.

23 იქვე. 219.

24 კუბლაშვილი, კ., 2019. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მეხუთე გამოცემა. თბილისი: გვ. 309.

25 გვაზავა, გ., 2016. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 221.

26 იქვე. გვ. 222.

27 ჯგერენაია,ე.დაკენჭოშვილი,თ.,,,რედ.-ები",2018.თავიმესამე კონსტიტუციის პროექტისა მოქალაქის უფლებანი/19-51/ თეზისები. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 907.

28 გვაზავა, გ., 2016. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, თბილისი: გვ. 222.

29 მუხლი 17, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

30 იქვე. მუხლი 39.

31 გეგენავა, დ. და სხვები, 2019. შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი: გვ. 43.; კობახიძე რ., სილაქაძე, დ., ხვადაგიანი დ. და ხვადაგიანი ი., 2018. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 100 ამბავი. თბილისი: გვ. 44.

32 გეგენავა, დ. და სხვები, 2019. შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში. თბილისი: გვ. 43- 44.

33 თავი 16, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

,,უფლებრივი სახელმწიფოს" არსი

1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის მოწესრიგება წარმოადგენდა. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის სულისკვეთებიდან ვლინდება, რომ ,,დამფუძნებელი მამები" ცდილობდნენ კონსტიტუციით ,,უფლებრივი სახელმწიფოს", იგივე სამართლებრივი სახელმწიფოს, დამკვიდრებას[34], სადაც ,,ადამიანისა და მოქალაქის ტრადიციული უფლებები პიროვნული თავისუფლების პრინციპს ემყარება"[35]. კონსტიტუციის შემქმნელები განმარტავდნენ, რომ ,,სამართალი არის მაქსიმუმი თავისუფლებისა."[36] 1921 წლის კონსტიტუციის ავტორები მოქალაქეების სამართლის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვას და ,,თავისუფლებით თანაბრად და თანასწორად სარგებლობას"[37] ,,უფლებრივი" სახელმწიფოს მთავარ მახასიათებლებად მიიჩნევდნენ[38]. მათი განმარტებით: ,,ყველასთვის, ვისაც კი სწამს და ვინც იღებს სახელმწიფოს, ე.ი არ უარყოფს ფორმასთან ერთად თვით იდეას სახელმწიფოსას, აუცილებელია ცნობა და მიღება იმ სისტემისა, სადაც არც ერთი ხელისუფლება კანონზე მაღლა არ დგას და მხოლოდ ასეთ სახელმწიფოს ეწოდება ,,უფლებრივი სახელმწიფო."[39] ,,დამფუძნებელი მამები" სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას გამოხატავდნენ ფრაზაში: ,,არცერთი სახელმწიფო არ დგას კანონზე მაღლა"[40]. ამასთანავე, პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულება ,,უფლებრივი" სახელმწიფოს მთავარ მახასიათებლად იყო მიჩნეული[41].

1921 წლის კონსტიტუციის შემოქმედები ,,უფლებრივ" სახელმწიფოს კონსტიტუციით შებოჭილ სახელმწიფოს უწოდებდნენ და მას სამართლის უზენაესობის არსებით ელემენტად განიხილავდნენ[42]. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი სამსონ დადიანი განმარტავდა, რომ ,,კონსტიტუცია არ არის ზემდგომარე, სხვა კანონების მაღლა მდგომარე, არამედ, პირიქით, იგი ფუძეა ყველა სხვა კანონისა, იგი ძირითადი კანონია და მასზე ემყარება მთელი რესპუბლიკაც".[43] კონსტიტუციის უმაღლესი იურიდიულ ძალას გარანტირებდა კონსტიტუციის მე-8 მუხლი, რომლის თანახმადაც ,,კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის წინააღმდეგია."[44]

,,უფლებრივი" სახელმწიფოს პრინციპი კონსტიტუციის 25-ე და 26-ე მუხლებშია ინკორპორირებული, რომელიც ჰაბეას კორპუს აქტის არსებით გავლენას განიცდის და მის პრინციპებს ეფუძნება[45]. 1921 წლის კონსტიტუცია კრძალავს ადამიანის დაკავებას სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე და დაკავებულის სასამართლოში დაუყოვნებლივ წარდგენის წესს ადგენს. ,,უფლებრივი სახელმწიფოს" გამოხატულებას წარმოადგენდა კონსტიტუციის

---

34 პაპუაშვილი, გ., 2014. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. III გამოცემა. ბათუმი: გვ. 18.

35 იქვე. 18.

36 გვაზავა, გ., 2016. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 230.

37 ჯგერენაია, ე. და კენჭოშვილი, თ., „რედ.-ები", 2018. სადამფუძნებლო კრება, 1- ლი ქრისტეშობისთვის საღამოს სხდომა, გიორგი გვაზავას სიტყვა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 585.

38 დადიანი, ს., 2016. ჩვენი კონსტიტუცია - განხილული ხალხოსნური სახელმწიფო უფლების თვალსაზრისით. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 273.

39 იქვე.

40 განმარტება ეკუთვნის სამსონ დადიანს; სახალხო საქმე (The People's Business), 5, November 1920, 3. ასევე: Matsaberidze, M., 2014. The Democratic Republic of Georgia (1918-21) and the search for the Georgian model of democracy, The Making of Modern Georgia, 1918-2012, The first Georgian republic and its successors. edited by Stephen, F. and Jones. p. 147.

41 ჯგერენაია, ე. და კენჭოშვილი, თ., „რედ.-ები", 2018. დადიანი, ს., ჩვენი კონსტიტუცია (განხილული ხალხოსნური სახელმწ. უფლების თვალსაზრისით), პატარა განმარტება. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 558.

42 იქვე. 536.

43 იქვე. 536.

44 მუხლი 8, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

45 პაპუაშვილი, გ., 2014. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. III გამოცემა. ბათუმი: გვ. 18.

მე-19 მუხლი - სიკვდილით დასჯის აკრძალვა, რომელიც ღირსების შემლახველ სასჯელის სახედ ითვლებოდა. სიკვდილით დასჯის უპირობო აკრძალვა იმ პერიოდისთვის უპრეცედენტოდ ჰუმანურ აქტს წარმოადგენდა და ნოვატორულ ჩანაწერად მიიჩნეოდა [46].

ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის ,,დამფუძნებელი მამები" ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის მექანიზმებს ,,უფლებრივი სახელმწიფოს" ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ.[47] ისინი თვლიდენ, რომ ადამიანის უფლებების დაცულობისთვის და სახელმწიფოს მხრიდან მისი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისთვის, აუცილებელი იყო ,,საკადრისი" კონსტიტუციური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა[48]. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ 1921 წლის კონსტიტუცია ადამიანის უფლებათა დაცვის რეალურ და პრაქტიკულ გარანტიებს შეიცავდა[49].

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის ავტორები დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლად და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად, არჩეულ დამოუკიდებელ სასამართლოს და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს მიიჩნევდნენ[50].

1921 წლის კონსტიტუციის 81-ე მუხლით გათვალისწინებული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მძიმე სისხლის სამართლის და აგრეთვე, პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულის საქმეებს იხილავდა. ,,დამფუძნებელ მამებს" სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული საქვეყნო საქმეებზე საზოგადოების მიერ პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობა და თანამონაწილეობა მართლმსაჯულების პროცესში, რომელიც მათ საზოგადოებრივ კეთილდღეობას ეხებოდა. ისინი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას სამართლიანობის დამკვიდრების წინაპირობად მიიჩნევდნენ[51]. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებისას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობის და მისი მნიშვნელობის ხაზგასასმელად, სამსონ დადიანი განმარტავდა, რომ ,,იქ, სადაც ხელმწიფება ხალხს ეკუთვნის და ხალხია გამგებელი და ბატონ-პატრონი თავისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, თვისი წევრთა მოქმედების განსჯაც მას უნდა ჰქონდეს".[52] რაჟდენ არსენიძე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სვინდისის სასამართლოდ მიიჩნევდა, სადაც საზოგადოების ხმა ისმოდა, ,,მართალ სამართალს" ქმნიდა, რომელიც ხმელ ხესაც კი ანედლებდა [53].

1921 წლის კონსტიტუციის ავტორები კარგად იაზრებდნენ დამოუკიდებელი სასამართლოს მნიშვნელობას სამართლებრივ სახელმწიფოში, რომლის ძირითად ფუნქციადაც კანონიერების დაცვას და სამართლის აღდგენას მიიჩნევდნენ [54]. საკონსტიტუციო კომისიის წევრები სასამართლოს მოწყობას ,,უპირველეს საკითხად" მიიჩნევდნენ, ვინაიდან მას ,,სახელმწიფოს არსებობის ბურჯად" თვლიდნენ [55].

კონსტიტუციის ავტორები მართლმსაჯულების ძირითად მიზნად ,,უფლებრივი წესრიგის დამყარებას და განმტკიცებას" თვლიდნენ [56] და სამართლის არარსებობას სახელმწიფოს

[46] იქვე. გვ. 18.

[47] მიქელაძე, კ., 2016. დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული (ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ) რესპუბლიკა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 77.

[48] იქვე. გვ. 14.

[49] გეგენავა, დ. და სხვები, 2019. შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში. თბილისი: გვ. 43.

[50] არსენიძე, რ., 2014. დემოკრატიული რესპუბლიკა. მეორე გამოცემა. ქართული სამართლის კლასიკა. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი: გვ. 33.

[51] მიქელაძე, კ., 2016, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ. თბილისი: გვ. 56.

[52] ჯგერენაია, ე. და კენჭოშვილი, თ., „რედ.-ები", 2018. დადიანი, ს., ჩვენი კონსტიტუცია (განხილული ხალხოსნური სახელმწ. უფლების თვალსაზრისით), პატარა განმარტება. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 561.

[53] არსენიძე, რ., 2014. დემოკრატიული რესპუბლიკა. მეორე გამოცემა. ქართული სამართლის კლასიკა. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი: გვ. 34.

[54] არსენიძე, რ., 2016. დემოკრატიული რესპუბლიკა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: გვ. 62- 63.

[55] ფუტკარაძე, ი., 2011. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით. კრებულში - ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი, ბათუმი: გვ. 192.

[56] კორძაძე, ზ. და ნემსიწვერიძე, თ., 2016. სამართლებრივი დისკუსიები და 1921 წლის კონსტიტუციის მიღება. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა. თბილისი: ზვიად კორძაძის გამომცემლობა, გვ. 211.

არარსებობადაც მიიჩნევდნენ.[57] ,,დაფუძნებელი მამები" სასამართლოს თავისუფლების უმთავრეს გარანტიად[58] და ,,კონსტიტუციის დარაჯად"[59] მიიჩნევდნენ. მათი შეფასებით, სასამართლო ,,მოწოდებულია ყოველივე ხელისუფლების უკანონო მოქმედების და განკარგულების გასაუქმებლად და უფლებრივი წონასწორობის აღსადგენად"[60]. დემოკრატიული რესპუბლიკის სასამართლო მათ ,,მიუდგომელ მსჯავრის დამდებად", ,,მთავრობის გავლენისგან თავისუფლად" და ,,ხალხის მაღალი ნდობით მოსარგებლედ" წარმოედგინათ[61]. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის შემქმნელებს მტკიცედ სჯეროდათ, რომ დამოუკიდებელი სასამართლოს პირობებში, ,,მთავარობას მოსამართლის სვინდისზე ძალდატანების საშუალება" უნდა წართმეოდა.[62]" ქართველი განმანათლებლის ნიკო ნიკოლაძის განმარტებით: ,,იქ, სადაც სასამართლო და მისი განაჩენი ხალხის ნდობით სარგებლობს, მართლმსაჯულება მშვიდი ცხოვრების საფუძვლად იქცევა"[63]. შესაბამისად, პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში, ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას სწორედ მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო წარმოადგენდა[64]. კონსტიტუციის მე-6 თავის თანახმად, მართლმსაჯულება ხორციელდებოდა ისეთი ფუნდამენტური დემოკრატული პრინციპების საფუძველზე, როგორებიცაა: სასამართლოს დამოუკიდებლობა და მხოლოდ კანონის წინაშე მორჩილება[65]; მოსამართლეთა არჩევითობა[66]; სასამართლოში საქმის განხილვის საჯაროობა[67]. დამფუძნებელი მამები მოსამართლეთა არჩევითობას სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ გარანტიად მიიჩნევდნენ.[68] კონსტიტუცია კრძალავდა სასამართლო განაჩენის გაუქმებას საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.[69] კონსტიტუციის 76-ე მუხლის მიხედვით, სენატი წარმოადგენდა უმაღლეს სასამართლო ინსტანციას, რომელსაც ევალებოდა კანონის დაცვისთვის თვალყურის დევნება და აღჭურვილი იყო საკასაციო სასამართლოს სტატუსით.

1921 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლი განსაზღვრავდა, რომ ,,კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებიდან"[70]. იმავე ჩანაწერს შეიცავს საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-4 მუხლიც[71], რომელიც პირველი კონსტიტუციის 45-ე მუხლის იდენტური აზრის მატარებელია, რაც კონსტიტუციებს შორის მემკვიდრეობითობასა და ღირებულებით უწყვეტობაზე მიანიშნებს. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის 45-ე მუხლი, მსგავსად მოქმედი კონსტიტუციის მე-4 მუხლისა, აღიარებდა იმ ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებიც სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს ეფუძნებოდა.

1921 წლის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებების

[57] ჯანელიძე, ო., 2002. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულიპარტიის ისტორიიდან. თბილისი: გვ. 354.

[58] ჯგერენაია, ე. და კენჭოშვილი, თ., „რედ. - ები", 2018. სადამფუძნებლო კრება, 1- ლი ქრისტეშობისთვის საღამოს სხდომა, გიორგი გვაზავას სიტყვა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი II. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. გვ. 590.

[59] იქვე. 592.

[60] მაცაბერიძე, მ., 1996. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბილისი: გვ. 90; ასევე, ფუტკარაძე, ი., 2011. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით, კრებულში - ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი. ბათუმი: 184.

[61] არსენიძე, რ., 2016. დემოკრატიული რესპუბლიკა. ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები. თბილისი: 63.

[62] არსენიძე, რ., 2014. დემოკრატიული რესპუბლიკა. მეორე გამოცემა, ქართული სამართლის კლასიკა. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. თბილისი: გვ. 33.

[63] ჯანელიძე, ო., 2018. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი: გვ. 112. ასევე: ნიკოლაძე, ნ., 2003. თხზულებანი. ტ. VIII. ქუთაისი: გვ. 444 - 445.

[64] მუხლი 78, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>[წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

[65] მუხლი 78, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

[66] იქვე. მუხლი 82.

[67] იქვე. მუხლი 80.

[68] არსენიძე, რ., 2014. დემოკრატიული რესპუბლიკა. მეორე გამოცემა. ქართული სამართლის კლასიკა. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი: გვ. 33.

[69] მუხლი 79, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

[70] იქვე. მუხლი 45.

[71] მუხლი 4, საქართველოს კონსტიტუცია. 1995. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

კატალოგი საპროგრამო-დეკლარაციული ხასიათის იყო, იგი არ იყო ნორმატიული ბუნების, უშუალოდ მოქმედი ობიექტური სამართალი, რადგან არ არსებობდა ინსტიტუციური მექანიზმი საკონსტიტუციო სასამართლოს სახით, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვაზე კონსტიტუციურ კონტროლს განახორციელებდა.

სეკულარიზმის პრინციპი დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში

1921 წლის კონსტიტუციაში სეკულარიზაციის კონსტიტუციური იდეა სახელმწიფოსა და ეკლესიის ინსტიტუციურ-ფუნქციურ გამიჯვნას, ურთიერთჩაურევლობას, კონფესიათა თანასწორობას და სახელმწიფოს რელიგიურ ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას ემსახურებოდა. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მომწესრიგებელ დებულებებთან დაკავშირებით 1919 წლის 24 თებერვლის საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე ცხარე კამათი გაიმართა[72]. საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში, განიხილეს მიხეილ ნანეიშვილისა და რაჟდენ არსენიძის პროექტები. მიხეილ ნანეიშვილის პროექტი გარკვეულწილად ორიენტირებული იყო ფრანგული სეკულარიზმის (*Laïcité)* პრინციპებზე, რაც აისახა პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-16 თავში. სეკულარიზმის ფრანგულ მოდელთან შეუთავსებელი იყო სახელმწიფოს ეკლესიასთან მჭიდროდ ასოცირება, რაც რწმენის თავისუფლებასა და კონფესიათა თანასწორობას ეწინააღმდეგებოდა. 1921 წლის კონსტიტუციაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო კატეგორიულად გამორიცხავდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ჩარევას ერთმანეთის საქმიანობაში და მათ ერთმანეთისგან დამოუკიდებლობას გარანტირებდა. პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია გვთავაზობდა კონფესიათა თანასწორობის, რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მოდელს, როგორც კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის გამოხატულებას. კონსტიტუციის 142-ე მუხლმა კონსტიტუციურ დონეზე აიყვანა სეკულარზმის პრინციპი, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიის ,,განცალკევებასა და დამოუკიდებლობაში" გამოიხატა[73]. კონსტიტუციის 143-ე მუხლი კი სარწმუნებათა რეალურ თანასწორობას გარანტირებდა[74]. სეკულარიზმის პრინციპის მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენდა კონსტიტუციის 144-ე მუხლი, რომელიც კრძალავდა ეკლესიის დაფინანსებას სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ხარჯებიდან და არც ერთ სარწმუნოებას არ ანიჭებდა უპირატესობას[75].

2018 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, არსებითად გაუარესდა რელიგიის თავისუფლების დაცვისა და სეკულარიზმის პრინციპის ასახვა საქართველოს კონსტიტუციაში. კონსტიტუციის მე-8 მუხლმა[76] რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება შემოზღუდა მართლმადიდებლური ეკლესიის წვლილის აღიარებით, რაც უფლებრივ სტანდარტს არსებითად აუარესებს და სხვა კონფესიებთან შედარებით დომინანტი რელიგიის უპირატესობას უსვამს ხაზს [77]. რწმენის თავისუფლებისა და დომინანტი მართლმადიდებლური რელიგიის განსაკუთრებული როლის ერთ სიბრტყესა და ერთ შინაარსობრივ კონტექსტში მოაზრება არსებითად ლახავს კონფესიათა თანასწორობის პრინციპს და სეკულარული სახელმწიფოს კონსტიტუციურ იდეას აზიანებს. კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-8 მუხლი რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას დომინანტი რელიგიის განსაკუთრებული როლით პირობადადებულს ხდის, რაც თანსწორობის პრინციპს ეწინააღმდეგება[78].

[72] ჯგერენაია, ე. და კენჭოშვილი, თ., ,,რედ.-ები", 2015. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921), მასალები და დოკუმენტები. ტომი I. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი: გვ. 184.

[73] მუხლი, 142, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

[74] მუხლი 143, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

[75] იქვე. მუხლი 144.

[76] მუხლი 8, საქართველოს კონსტიტუცია. 1995. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

[77] ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) შეფასება კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვაზე, 2017. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://tdi.ge/ge/statement/tdi-shepaseba-konstituciashi-religiis-tavisuplebis-shezgudvaze> [წვდომის თარიღი 18 აპრილი 2021].

[78] იქვე.

დასკვნა

,,დამფუძნებელი მამების" იდეები, რომლებიც პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში ინკორპორირდა, ცხადყოფს, რომ კონსტიტუციის ერთ-ერთ პროგრესულ ნაწილს ,,მოქალაქის უფლებების" თავი წარმოადგენდა. კონსტიტუცია გაჯერებული იყო მყარი დასავლური ფასეულობებით და თავისუფალი ადამიანის, როგორც მთავარი ღირებულების იდეალით. კონსტიტუციის ავტორების მთავარ მიზანს ,,უფლებრივი სახელმწიფოს" დამყარება წარმოადგენდა, რომელიც სამართლის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს ეფუძნებოდა. ,,უფლებრივი სახელმწიფოს" იდეა ითვალისწინებდა ყველა იმ კომპონენტს, რომელსაც თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოიაზრებს.

1921 წლის კონსტიტუციაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო სეკულარიზმის პრინციპს გარანტირებდა და კატეგორიულად გამორიცხავდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ჩარევას ერთმანეთის საქმიანობაში. პირველი კონსტიტუციისგან განსახვავებით, საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის სტანდარტი არსებითად გაუარესდა სეკულარიზმის პრინციპის საზიანოდ, რომელმაც რწმენის თავისუფლება დომინანტი მართლმადიდებლური რელიგიის განსაკუთრებული როლით შემოსაზღვრა. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლმა ერთ შინაარსობრივ სიბრტყეში დააყენა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება და დომინანტი მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი, რითაც სეკულარიზმის იდეა არსებითად დააზიანა.

პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში თავისუფლებისა და თანასწორობის განუყოფლობის იდეა კანტისეულ დოქტრინას დაეფუძნა, რომლის თანახმადაც - სამოქალაქო მშვიდობის მიღწევა საზოგადოების წევრთა თავისუფლებით, თავისუფალი მოქალაქეების კანონისადმი მორჩილებითა და თანასწორობით არის შესაძლებელი.

1921 წლის კონსტიტუციამ ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი და ხელშესახები გარანტიები შექმნა და დამოუკიდებელი სასამართლოს სტანდარტი განსაზღვრა. მყარი დასავლური ღირებულებებიდან გამომდინარე, პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიაში, რომლის პრინციპებსაც მოქმედი კონსტიტუცია დაეფუძნა.

ბიბლიოგრაფია:

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2021].
2. საქართველოს კონსტიტუცია. 1995. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 14 ივნისი 2021].

BIBLIOGRAPHY:

Normative Materials:

1. Constitution of Georgia (21.02.1921). [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
2. Constitution of Georgia. 1995. [online] Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)

REFERENCES:

1. Kordzadze, Z. and Nemsitsveridze, T., 2016. Legal Discussions and Adoption of 1921 Constitution, Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: Publishing House of Zviad Kordzadze. p. 23. (in Georgian)
2. SEA, SDK Materials, Fund 1833, Case 191, Paper

137; Tbilisi. Also, Kantaria, B., 2012. TSU, - ,,The Principles of Western Constitutionalism and the legal Nature of Government Forms in the First Georgian Constitution". Doctoral Dissertacion. Tbilisi: p. 21. (in Georgian)
3. Constitution of Georgia (21.02.1921). [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
4. SEA, SDK Materials, Fund 1833, Case 191, Paper 137. (in Georgian)
5. Ibid. 138.
6. Gvazava, G., 1920. Basic Principles of Constitutional Right, Tbilisi: p. 44. Also, Kantaria, B., 2012. ,,The Principles of Western Constitutionalism and the legal Nature of Government Forms in the First Georgian Constitution". Doctoral Dissertation. Tbilisi: p. 20. (in Georgian)
7. Mikeladze, K., 1918. The Constitution of Democratic Country and Parliamentary State. Tbilisi: p. 17. Also, Kantaria, B., 2012. ,,The Principles of Western Constitutionalism and the legal Nature of Government Forms in the First Georgian Constitution". Doctoral Dissertation. Tbilisi: p. 20-21. (in Georgian)
8. SDK, Plenary Session, 1st December, 1920, Newspaper ,,SR"., 1920. 4, December. p. 1. (in Georgian)
9. Kordzadze, Z. and Nemsitsveridze, T., 2016. Legal Discussions and Adoption of 1921 Constitution. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: Publishing House of Zviad Kordzadze, p. 22. (in Georgian)
10. Tsanava, L., 2013. Democratic Republic of Georgia and 1921 Constitution (First national conference in Constitutional Law). Tbilisi: p. 60. (in Georgian)
11. Newspaper ,,Sakhalkho Sakme", 1921. 16 January. p. 3. (in Georgian)
12. Janelidze, O., 2018. The Essays of the History of the First Democratic Republic of Georgia. National Library of Parliament of Georgia. Tbilisi: p. 114. (in Georgian)
13. Khubua, G., 2004. Theory of Law. Tbilisi: p. 90. (in Georgian)
14. Gegenava, D., 2014. The European Basis of Georgian Constitutionalism: Fight for Legal State. International interdisciplinary conference, European values and identity. Reports 16 - 17- 18 June, Tbilisi: p. 122. (in Georgian)
15. Jgerenaia E. and Kenchoshvili, T., "eds.", 2018. Founding Session, The Speech of Giorgi Gvazava, The Constitution of First Georgian Republic (1921), materials and documents, National Library of Georgian Parliament, Volume II. Tbilisi: p. 586. (in Georgian)
16. Demetrashvili, A., 2010. Chronicles of Constitutionalism in Georgia. Law&Justice Review, 1 (1) September. pp. 6 - 7. (in Georgian)
17. Kordzadze, Z. and Nemsitsveridze, T., 2016. Legal Discussions and Adoption of 1921 Constitution. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: Publishing House of Zviad Kordzadze. p. 22. (in Georgian)
18. Jgerenaia E. and Kenchoshvili, T., "eds.", 2018. Founding Session, The Speech of Giorgi Gvazava, The Constitution of First Georgian Republic (1921), materials and documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. p. 585. (in Georgian)
19. Pfordten Dietmar von der, Zur Würde des Menschen bei Kant, In Fünf Untersuchungen "Menschen würde, Recht und Staat bei Kant", 1. Aufl age, Mentis, Paderborn, Verlag C.H. Beck, 2009. 11. (in German)
20. Demetrashvili, A. and Kobakhidze I., 2011. Constitutional Law. Tbilisi: p. 53. (in Georgian)
21. Gvazava, G., 2016. The Basic Principles of Constitutional Right. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: p. 218. (in Georgian)
22. Ibid. p. 218.
23. Ibid. p. 219.
24. Kublashvili, K., 2019. Basic Human Rights and Liberties. fifth edition. Tbilisi: p. 309. (in Georgian)
25. Gvazava, G., 2016. The Basic Principles of Constitutional Right. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: p. 221. (in Georgian)
26. Ibid. p. 222.
27. Jgerenaia E. and Kenchoshvili, T., "eds.", 2018. Section Three of The Draft of Constitution, citizens' rights /19-51/ Thesis, The Constitution of the First Republic of Georgia (1921), Materials and Documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. Tbilisi: p. 907. (in Georgian)
28. Gvazava, G., 2016. The Basic Principles of Constitutional Right. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: p. 222. (in Georgian)
29. Article 17, Constitution Of Georgia, 1921, 21 of February. [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
30. Ibid. article 39.
31. Gegenava, D. and others, 2019. Introduction to Constitutional Law, Tbilisi: p. 43. Also, Kobakhidze, R., Silakadze, D. and Khvadagiani, I., 2018. Democratic Republic of Georgia, 100 stories. Tbilisi: p. 44. (in Georgian)
32. Gegenava, D. and others, 2018. Democratic Republic of Georgia, 100 stories. Tbilisi: p. 43 - 44. (in Georgian)
33. Section 16, Constitution Of Georgia, 1921, 21 of February. [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
34. Papuashvili, G., 2014. Georgain Constitution from the 90 Years Prospective, Democratic Constitution of Georgia 1921. third edition. Batumi: p. 18. (in Georgian)
35. Ibid. p. 18.
36. Gvazava, G., 2016. The Basic Principles of Constitutional Right. Chronicles of Georgian Constitutionalism. p. 230. (in Georgian)

37. Jgerenaia, E. and Kenchoshvili, T., eds.", 2018. Founding Session, The Speech of Giorgi Gvazava. The Constitution of First Georgian Republic (1921), materials and documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. Tbilisi: p. 585. (in Georgian)
38. Dadiani, S., 2016. Our Constitution - Discussed from the Peoples Rights Prospective Chronicles of Georgian Constitutionalism. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: Publishing House of Zviad Kordzadze. p. 22. Tbilisi: p. 273. (in Georgian)
39. Ibid. 273.
40. Sakhalkho Sakme (The People's Business), 5, November 1920, 3. Also, Matsaberidze, M., 2014. The Democratic Republic of Georgia (1918-21) and the search for the Georgian model of democracy, The Making of Modern Georgia, 1918-2012, The first Georgian republic and its successors. p. 147. (in English)
41. Jgerenaia E. and Kenchoshvili, T., "eds.", 2018. Dadiani, S., 2016. Our Constitution - Discussed from the Peoples Rights Prospective. Section Three of The Draft of Constitution, citizens' rights /19-51/ Thesis, The Constitution of the First Republic of Georgia (1921), Materials and Documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. Tbilisi: p. 558.
42. Ibid. p. 536.
43. Ibid. p. 536.
44. Article 8, Constitution of Georgia, 1921. [on-line] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
45. Papuashvili, G., 2014. Georgain Constitution from the 90 Years Prospective, Democratic Constitution of Georgia 1921. third edition. Batumi: p. 18. (in Georgian)
46. Ibid. p. 18.
47. Mikeladze, K., 2016. Georgian Constitution and Parliamentary State. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: Publishing House of Zviad Kordzadze, p. 77. (in Georgian)
48. Ibid. p. 14.
49. Gegenava, D. and others, 2018. Democratic Republic of Georgia, 100 stories. Tbilisi: p. 43. (in Georgian)
50. Arsenidze, R., 2014. Democratic Republic. second edition. Classics of Georgian Law. David Batonishvili Law Institute, Tbilisi: p. 33. (in Georgian)
51. Mikeladze, K., 1918. Georgian Constitution and Parliamentary State, p. 56. (in Georgian)
52. Jgerenaia E. and Kenchoshvili, T., "eds.", 2018. Dadiani, S., Our Constitution - Discussed from the Peoples Rights Prospective Chronicles of Georgian Constitutionalism, The Constitution of the First Republic of Georgia (1921), Materials and Documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. Tbilisi: p. 273. (in Georgian)
53. Arsenidze, R., 2014. Democratic Republic. second edition, Classics of Georgian Law. David Batonishvili Law Institute. Tbilisi: p. 34. (in Georgian)
54. Arsenidze, R., 2016. Democratic Republic, Chronicles of Georgian Constitution. Tbilisi: pp. 62- 63. (in Georgian)
55. Putkaradze, I., 2011. Court System according to the Constitution of Georgia, 1921, 21st of February, - At the Beginnings of Georgian Constitutionalism - 90 anniversary of 1921 Constitution of Georgia. Batumi: p. 192. (in Georgian)
56. Kordzadze, Z. and Nemsitsveridze, T., 2016. Legal Discussions and Adoption of 1921 Constitution. Chronicles of Georgian Constitutionalism. Tbilisi: Publishing House of Zviad Kordzadze. Tbilisi: p. 211. (in Georgian)
57. Janelidze, O., 2002. Essays from the History of National Democratic Party. Tbilisi: p. 354. (in Georgian)
58. Jgerenaia, E. and Kenchoshvili, T., "eds", 2018. Founding Session, The Speech of Giorgi Gvazava, The Constitution of First Georgian Republic (1921), materials and documents. Volume II. National Library of Georgian Parliament. Tbilisi: p. 590. (in Georgian)
59. Ibid. p. 592. (in Georgian)
60. Matsaberidze M., The Political Concept of 1921 Constitution, Tb., p. 90; also Putkaradze I., 2011. Judicial Branch according to the 1921 Constitution in the book - at the Foundings if Georgian Constitutionalism, 90 anniversary of 1921 Constitution, Batumi: 184. (in Georgian)
61. Arsenidze, R., 2016. Democratic Republic, Chronicles of Georgian Constitution. Tbilisi: p. 63. (in Georgian)
62. Arsenidze, R., 2014. Democratic Republic. second edition. Classics of Georgian Law. David Batonishvili Law Institute, Tbilisi: p. 33. (in Georgian)
63. Janelidze, O., 2018. The Essays of the History of the First Democratic Republic of Georgia. National Library of Parliament of Georgia. Tbilisi: p. 112. (in Georgian)
64. Article 78, Constitution of Georgia, 1921. [online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
65. Ibid.
66. Ibid. article 82.
67. Ibid. article 80.
68. Arsenidze, R., 2014. Democratic Republic. second edition, Classics of Georgian Law. David Batonishvili Law Institute. Tbilisi: p. 33. (in Georgian)
69. Article 79, Constitution of Georgia, 1921. [online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
70. Ibid. article 45.
71. Article 4, Constitution of Georgia. 1995. (in Georgian)

72. Jgerenaia, E. and Kenchoshvili, T., "eds", 2015. The Constitution of the First Republic (1921), materials and documents. Volume 1. National Library of Parliament of Georgia. Tbilisi: p. 184. (in Georgian).
73. Article 142, Constitution of Georgia, 1921. [online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
74. Ibid. article 143.
75. Ibid. article 144.
76. Article 8, Constitution of Georgia, 1995. (in Georgian)
77. Assessment of TDI on the limiting of religious freedom in Georgian Constitution, 2017. [online] Available at: <http://tdi.ge/ge/statement/tdi-shepaseba-konstituciashi-religiis-tavisuplebis-shezgudvaze> [Accessed 15 June 2021]. (in Georgian)
78. Ibid.